წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 29

ქ. წალკა; 08.11.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის" პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების დასკვნები და წალკის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა

ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“, რის შემდეგადაც გააცნო აღნიშნული კომისიების დადებითი დასკვნები და წარმოდგენილი მომართვა, ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს მ/წლის 30 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის“ პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე. რის შემდეგადაც გააცნო აღნიშნული კომისიის დადებითი დასკვნა, ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად განკარგულების პროექტი „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის“ პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე შეტანილ იქნეს მ/წლის 30 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*